PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ -კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" საგანმანათლებლო პროგრამების - „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" და "მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება" - მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ვახტანგ ბოგველიშვილი
წევრი:
ვალერი ჯაჯანიძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

■

II. ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
გეგმიური
☐ არაგეგმიური

<u>(მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე)</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40	-	-
მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40	-	-

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N367322 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ვახტანგ ბოგველიშვილი, წევრი - ვალერი ჯაჯანიძე, დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ამ მიზნით, დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელდა 2021 წლის 26 აპრილს.

ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა მონიტორინგის განრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
დაწესებულებას. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ ხელმძღვანელებსა და მოდულების განმახორციელებელ პირებს; გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი; დისტანციურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამებით გათვალისწინებული ფონდი და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა მოსაზრებით, ორივე საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 2.2 კომპონენტი უკვე არის „სრულად შესაბამისი“. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ამჟამად არის „სრულ შესამასობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დაასრულა ახალი სახელოსნოს მშენებლობა, რომელიც მდებარეობს კოლეჯის ეზოში. შედეგად, კოლეჯის განკარგულებაშია მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე აპარატურითა და უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვილი სივრცე - სახელოსნო, რომელიც გამოყენებულ იქნება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. სახელოსნოში ყველა პირობაა შექმნილი თეორიული თუ პრაქტიკული სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის: მოწყობილია სახელდახელო სივრცე თეორიული მეცადინეობისთვის, შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, ადაპტირებულია შშმ პირთათვის და დაცულია შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება.

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯის ბაზაზე არსებული ახალი სახელოსნო, გარდა უახლესი, მაღალტექნოლოგიური აპარატურისა, გამოირჩევა ვიზუალური ნიშნითაც - სახელოსნოს კედლები გამჭვირვალე მასალისაა და შენობის შიგნით მიმდინარე პროცესები თვალსაჩინოა გარეშე პირთათვის. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების პოპულარიზაციას და ვფიქრობთ, დაინტერესებული პირების მოზიდვის კარგი საშუალება უნდა იყოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
(ამ წარმოების შესამოწმებელ კომპონენტთან მიმართებაში)

შესაბამისობის რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" და "მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება"

2.2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია ორპორტიანი ამწის არსებობა კოლეჯის საკუთრებაში ან პარტნიორი ორგანიზაციის ბალანსზე, ავტოსერვის ცენტრებთან გაფორმებული მემორანდუმების არსებობის მიუხედავად, კოლეჯს არ აქვს გატანილი პრაქტიკის ობიექტზე სრულად სწავლის შედეგები. კოლეჯის საკუთრებაშია გერმანული ფირმის ,,lucas nuelle" სიმულაციური სასწავლო აღჭურვილობა, რომელიც ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების მუშაობის იმიტაციის და გაუმართაობების ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას იძლევა, შედეგად კონცენტრაციის მოდულების შედეგების 80 % - ის განხორციელება ამ ეტაპზე საკუთარი რესურსებითაა შესაძლებელი, ხოლო დარჩენილი შედეგებისათვის აუცილებელია ორპორტიანი ამწე. სასწავლო გეგმის მიხედვით კონცენტრაციის მოდულების დაწყების სავარაუდო დროა 8 კვირა, სწორედ ამ დროისათვის უნდა ჰქონდეს შეძენილი კოლეჯს მოცემული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო სახელოსნოს მშენებლობა, რაც განპირობებულია ტენდერის NAT200008084 საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან ამხანაგობა ,,მოდერნ ბილდინგ გრუპს" და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" შორის 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული №320702/02/03/90 ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადაა 75 კალენდარული დღე. კონკრეტული მატერიალური რესურსის შესაძენად ატვირთული ინვოისების და თანხის მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წლის 21 ივლისს მიღწეულია შეთანხმება №01/162-71-7, რაც გულისხმობს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" და სსიპ ,,კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" შორის 2015 წლის 14 აგვისტოს გაფორმებულ №01/162-71 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ სსიპ ,,კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" მიეცა უფლება №01/162-71 ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების 100349,45 ლარი ფარგლებში მიღებული ეკონომიიდან 62340 ლარი მიმართოს მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესაძენად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
აღჭურვილობისა და სხვა მატერიალური რესურსის შეძენის ვადები განსაზღვრულია სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში 2020 წლის 03 ივლისს გამართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესაბამისობასთან დადგენის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №4 - ის დანართი №1 - ის საფუძველზე და შეადგენს 6 თვეს, კერძოდ ვადებში ივლისიდან - დეკემბრის ჩათვლით. ვიზიტის პერიოდში კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია: საჭიროების მიხედვით, გარკვეული რეზერვის შესაქმნელად, დამატებით მოიძიოს პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციები - შესრულებულია.

განმავითარებელი რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" და "მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება"

2.2.1.4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელთანაც ხელშეკრულება დადებულია 1 წლის ვადით როტაციის პრინციპის გათვალისწინებით. ექსპერტთა მოსაზრებით, მსგავსი მიდგომა პროგრამის განხორციელების მდგრადობის გათვალისწინებით არაა რელევანტური, ექსპერტების მიერ კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის ვადა განისაზღვროს მინიმუმ პროგრამის ავტორიზაციის ვადით ან უვადოდ, შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით - დაწესებულებას გააჩნია მყარი, არგუმენტებული პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით და არ იზიარებს ზემოთხსენებულ რეკომენდაციას. მათი განმარტებით, როტაციის პრინციპი აპრობირებული და მხარდაჭერილია არაერთი ორგანიზაციის მიერ და ეს პროგრამის განხორციელების მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის. პირიქით, დაწესებულების წარმომადგენლობა თვლის, რომ ხსენებული მიდგომა კონკურენტუნარიანი გარემოსა და შესაბამისად, მოტივაციის ამაღლების ხელშემწყობია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VIII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

IX. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

X. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის N 89 ბრძანება; ცვლილება: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 აპრილის N 53 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

XI. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით (ორცვლიანი სწავლებით, თითო ცვლაში - 20 პროფესიული სტუდენტი). კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა; საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განხორციელების ობიექტებისა და სასწავლო საწარმოს რესურსი; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან და მათ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი გამოიყენება შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ ობიექტებთან: შპს „ოტო მოტორს ჰოლდინგი“, სს „ფრანს ავტო“, შპს “ენეო სერვისი”, შპს „მათე მოტორსი“, შპს „ჯი თი მოტორსი“, შპს „ავტოსერვისი დიდი დიღომი“, შპს „R მოტორსი“, შპს „კენტავრი“. მემორანდუმებში განსაზღვრულია მათ მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ტერიტორიაზე მიმდინარე, ტენდერის NAT200008084 საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან, ამხანაგობა „მოდერნ ბილდინგ გრუპს“ და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ შორის 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული №320702/02/03/90 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასწავლო სახელოსნოს მშენებლობა დასრულდა 2020 წლის დეკემბერში. შედეგად, კოლეჯის განკარგულებაშია მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე აპარატურითა და უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვილი სივრცე - სახელოსნო, რომელიც გამოყენებულ იქნება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელია ორპორტიანი ამწის არსებობა კოლეჯის საკუთრებაში ან პარტნიორი ორგანიზაციის ბალანსზე. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა 2020 წლის დეკემბერში გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 68, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
თანახმადაც, კოლეჯმა 2020 წლის საკუთარი შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში 2020 წლის 12 ნოემბერს გამოაცხადა NAT200017335 ელექტრონული ტენდერი „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავას შეკეთება“ და „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ქვეპროგრამის განსახორციელებლად საჭირო ამწე მოწყობილობების (ორპორტიანი ამწე - 3ც; ძრავის ამოსაღები ჰიდრავლიკური ამწე - 1ც; ჰიდრავლიკური ამწე (ჯეკი) – 1ც.) სახელმწიფო შესყიდვაზე (მონტაჟითა და შემდგომი საგარანტიო მომსახურებით). მომწოდებელმა უზრუნველყო ხსენებული ამწეების დამონტაჟება დაწესებულების ახალ სახელოსნოში. კოლეჯმა განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, მოწოდებული ორპორტიანი ამწის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რაზეც მიიღო კიდეც ექსპერტის დადებითი დასკვნა. დისტანციური ვიზიტისას, ვიდეოთვალის მეშვეობით ექსპერტებმა დეტალურად დაათვალიერეს სახელოსნო და პროფესიული პროგრამით „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, მათ შორის ორპორტიანი ამწეები - მუშა მდგომარეობაში. შედეგად, დასტურდება მათი არსებობა კოლეჯის ბაზაზე.
კოლეჯის საკუთრებაშია გერმანული ფირმის ,,lucas nuelle'' სიმულაციური სასწავლო აღჭურვილობა, რომელიც ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების მუშაობის იმიტაციის და გაუმართაობების ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დისტანციური ვიზიტისას ექსპერტები, შერჩევითი პრინციპით, გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებს. პედაგოგებთან გასაუბრებითა და მათი პირადი საქმეების, კერძოდ შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაციის: დიპლომების, სერთიფიკატების, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვით დასტურდება მათი კომპეტენცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. პროფესიული მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი“, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება მისი პირადი საქმის მასალებითა და მასთან გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია კოლეჯში განსაზღვრულია დირექტორის 29.06.2020 წლის №84 ბრძანების მიხედვით, სადაც გაწერილია მისი მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელს დაწესებულება არჩევს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესის თანახმად.

5. ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი სარგებლობს მის მიერ გამოცემული სასწავლო ლიტერატურით, რომლის ანალოგი ქართულ ენაზე არ არსებობს. კერძოდ: [redacted] - ელექტროობის საფუძვლები და ავტომობილების ელექტრომოწყობილობა - 2016 წ. [redacted] - საავტომობილო ძრავას კომპიუტერული მართვის პრინციპები - 2017 წ. [redacted] ავტომობილის ტექნიკური სისტემის კომპიუტერული მართვა და დიაგნოსტიკა - 2017 წ..

ბიბლიოთეკაში, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, აქვთ შესაძლებლობა სასწავლო რესურსების გამოყენებისა. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს და შერჩევითი პრინციპით გადაამოწმეს მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, რისი არსებობაც დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

6. დაწესებულებაში სსსმ პირებისთვის, საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტის, ასევე სურვილის შემთხვევაში სსსმ პირის ჩართულობით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც ისინი შეუფერხებლად გამოიყენებენ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს. დაწესებულებას აქვს მზაობა, უზრუნველყოს სასწავლო პროცესებისა და მასალების ადაპტირება სსსმ პირთა საჭიროების გათვალისწინებით. კოლეჯში, დირექტორის ბრძანებით, დამტკიცებულია და მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. იმის გათვალისწინებით, რომ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამაზე ჯერ არ გამოცხადებულა მიღება, ცხადია, სსსმ პირები არ ირიცხებიან. თუმცა, კოლეჯში არსებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პრაქტიკა არსებობს.

7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით);
2. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
3. მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;
4. სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 02.05.2018, N30 ბრძანებით);
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
6. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
7. ბრძანებით პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ (რეკვიზიტები: N84, 29.06.2020 წ.)
8. ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით (დამტკიცებულია: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N58, 26.06.2018წ);
10. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით;
11. დაწესებულების ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
12. დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის N 89 ბრძანება; ცვლილება: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 აპრილის N 53 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	57
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

XI. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით (ორცვლიანი სწავლებით, თითო ცვლაში - 20 პროფესიული სტუდენტი). კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა; საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განხორციელების ობიექტებისა და სასწავლო საწარმოს რესურსი; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან და მათ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი გამოიყენება შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ ობიექტებთან: შპს „ოტო მოტორს ჰოლდინგი“, სს „ფრანს ავტო“, შპს “ენეო სერვისი”, შპს „მათე მოტორსი“, შპს „ჯი თი მოტორსი“, შპს „ავტოსერვისი დიდი დიღომი“, შპს „R მოტორსი“, შპს „კენტავრი“. მემორანდუმებში განსაზღვრულია მათ მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ტერიტორიაზე მიმდინარე, ტენდერის NAT200008084 საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან, ამხანაგობა „მოდერნ ბილდინგ გრუპს“ და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ შორის 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული №320702/02/03/90 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასწავლო სახელოსნოს მშენებლობა დასრულდა 2020 წლის დეკემბერში. შედეგად, კოლეჯის განკარგულებაშია მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე აპარატურითა და უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვილი სივრცე - სახელოსნო, რომელიც გამოყენებულ იქნება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელია ორპორტიანი ამწის არსებობა კოლეჯის საკუთრებაში ან პარტნიორი ორგანიზაციის ბალანსზე. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა 2020 წლის დეკემბერში გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 68, რის თანახმადაც, კოლეჯმა 2020 წლის საკუთარი შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში 2020 წლის 12 ნოემბერს გამოაცხადა NAT200017335 ელექტრონული ტენდერი „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავას შეკეთება“ და „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ქვეპროგრამის განსახორციელებლად საჭირო ამწე მოწყობილობების (ორპორტიანი ამწე - 3ც; ძრავის ამოსაღები ჰიდრავლიკური ამწე - 1ც; ჰიდრავლიკური ამწე (ჯეკი) – 1ც.) სახელმწიფო შესყიდვაზე (მონტაჟითა და შემდგომი საგარანტიო მომსახურებით). მომწოდებელმა უზრუნველყო ხსენებული ამწეების დამონტაჟება დაწესებულების ახალ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
სახელოსნოში. კოლეჯმა განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, მოწოდებული ორპორტიანი ამწის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რაზეც მიიღო კიდეც ექსპერტის დადებითი დასკვნა. დისტანციური ვიზიტისას, ვიდეოთვალის მეშვეობით ექსპერტებმა დეტალურად დაათვალიერეს სახელოსნო და პროფესიული პროგრამით „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, მათ შორის ორპორტიანი ამწეები - მუშა მდგომარეობაში. შედეგად, დასტურდება მათი არსებობა კოლეჯის ბაზაზე.
კოლეჯის საკუთრებაშია გერმანული ფირმის ,,lucas nuelle'' სიმულაციური სასწავლო აღჭურვილობა, რომელიც ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების მუშაობის იმიტაციის და გაუმართაობების ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დისტანციური ვიზიტისას ექსპერტები, შერჩევითი პრინციპით, გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებს. პედაგოგებთან გასაუბრებითა და მათი პირადი საქმეების, კერძოდ შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაციის: დიპლომების, სერთიფიკატების, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვით დასტურდება მათი კომპეტენცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. პროფესიული მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი“, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება მისი პირადი საქმის მასალებითა და მასთან გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია კოლეჯში განსაზღვრულია დირექტორის 29.06.2020 წლის №84 ბრძანების მიხედვით, სადაც გაწერილია მისი მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელს დაწესებულება არჩევს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესის თანახმად.

5. „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. აქვე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, აქვთ შესაძლებლობა სასწავლო რესურსების გამოყენებისა. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს და შერჩევითი პრინციპით გადაამოწმეს მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, რისი არსებობაც დადასტურდა.

6. დაწესებულებაში სსსმ პირებისთვის, საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტის, ასევე სურვილის შემთხვევაში სსსმ პირის ჩართულობით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც ისინი შეუფერხებლად გამოიყენებენ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს. დაწესებულებას აქვს მზაობა, უზრუნველყოს სასწავლო პროცესებისა და მასალების ადაპტირება სსსმ პირთა საჭიროების გათვალისწინებით. კოლეჯში, დირექტორის ბრძანებით, დამტკიცებულია და მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. იმის გათვალისწინებით, რომ „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროგრამაზე ჯერ არ გამოცხადებულა მიღება, ცხადია, სსსმ პირები არ ირიცხებიან. თუმცა, კოლეჯში არსებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პრაქტიკა არსებობს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით);
2. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
3. მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;
4. სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პრორამის ხელმძღვანელის შერჩევის წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 02.05.18, N 30 ბრძანებით);
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
6. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
7. ბრძანებით პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ (რეკვიზიტები: N84, 29.06.2020 წ.)
8. ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდით;
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით (დამტკიცებულია: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N58, 26.06.2018წ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

10. სანიმუშოდ გამოყენებული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით;

11. დაწესებულების ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებით;

12. დათვალიერებით.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია

მონიტორინგის განრიგი.

20.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: